

სახელი: ელენე

გვარი: შურდულაია

ასაკი: 16 წლის

სკოლა: თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის N1 საჯარო სკოლა.

კლასი: მე-11 კლასი

საქართველოს გზა დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე

გამარჯობა ლილი, დღეს ჩემი წერილი სხვებისგან განსხვავებული იქნება, რადგან მინდა რაღაც ისეთი გიამბო რაც ჩემთვის, როგორც ქართველისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია. ჩემს ქვეყანაზე ადრე ბევრი რამ მოგიყევი, გაგაცანი ჩვენი კულტურა, ტრადიციები, მაგრამ სათქმელად კიდევ დამრჩა რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი. ხშირად მიფიქრია რა გზა გამოიარეს ჩემმა წინაპრებმა იმისთვის, რომ თავისუფალ სამყაროში მეცხოვრა, ახლა შენც მინდა გიამბო ამის შესახებ.

საქართველომ იმისთვის, რომ დღევანდელ რეალობამდე მოედწია საკმაოდ რთული გზა განვლო. მოდი ერთი საუკუნით უკან გადავინაცვლოთ და ამბის მოყოლა იმ ბედნიერი მომენტიდან დავიწყოთ, როცა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა ეწოდა. ეს გახლავთ 1918 წელი. თარიღი, როცა გავხდით დამოუკიდებლები და აღარ ვიყავით „ცარისტული“ რუსეთის გუბერნია. კონკრეტულად ვისაუბროთ:

1918 წლის 26 მაისს, კვირას, დღის 05:10 საათზე თბილისში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა ქვეყნის დამოუკიდებლობა და შექმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, თუმცა საქართველოსთვის ეს ბედნიერება ხანგრძლივი არ აღმოჩნდა. სულ რაღაც 4 დღეში, საქართველოში, რუსეთის ჯარი შემოიჭრა და დაიწყო მთელი ტერიტორიის დაკავება, რომელიც პოლიტიკური თვალსაზრისით წარმოადგენდა ანექსიას.

1922 წლიდან ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა საბჭოთა რესპუბლიკად იქცა და ეს 1989 წლამდე გაგრძელდა. რა მოხდა 1989 წელს? დამოუკიდებლობის მოთხოვნით რუსთაველის გამზირზე შეკრებილი ათიათასობით ადამიანი 9 აპრილს, გამთენიისას საბჭოთა კრემლის მითითებით ჯერ არმიის მძიმე ტექნიკით, შემდეგ კი შინაგანი სპეცრაზმელებით დაარბიეს. 9 აპრილი საქართველოს ისტორიაში ჩაეწერა, როგორც ტრაგედიის, ისე დამოუკიდებლობის აღდგენის თარიღად.

2 წლის შემდეგ, 31 მარტს, საქართველოს პრეზიდენტმა, ზვიად გამსახურდიამ ჩაატარა რეფერენდუმი - გსურთ თუ არა აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრიობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიხედვით? 3,672,403 ამომრჩევლიდან 3,295,493 ამომრჩეველმა ხმა (მათ შორის იყვნენ ჩემი მშობლებიც) მისცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. ოფიციალურად 1991

წლის 9 აპრილს, 1989 წლის 9 აპრილის პატივსაცემად საქართველო კვლავ გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო.

ხალხს სწამდა, რომ დამოუკიდებლობა ავტომატურად მოიტანდა თავისუფლებას, სამართლიანობასა და კეთილდღეობას, თუმცა ამ გზაზე ქართულ სახელმწიფოს ბევრი სირთულე დახვდა, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქვეყანამ გადაიტანა სამოქალაქო ომები, ტერიტორიული კონფლიქტები, ეკონომიკური კრიზისები და პოლიტიკური არასტაბილურობა.

მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა, თუმცა იყო კი ის თავისი არსით ნამდვილი თავისუფლება? უფლებრივი თანასწორობა? ამ ყველაფერს ძალიან მალე, კერძოდ, 1991-1993 წლებში მოჰყვა საქართველოს სამოქალაქო ომი - შეიარაღებული კონფლიქტი ზვიად გამსახურდიას მომხრეებსა და ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის, ომი დასრულდა კანონიერი ხელისუფლების დამხობითა და ზვიად გამსახურდიას სიკვდილით, ომმა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიაყენა ქვეყანას და დედაქალაქი თბილისი. აღნიშნულ მოვლენებით გამოწვეულ ფსიქოლოგიურ გავლენასა და ზარალს, როგორც ინდივიდზე, ასევე საზოგადოებაზე, ეხმიანება ზვიად რატიანის ლექსი „ნეგატივი 20 წლის შემდეგ“, სადაც პოეტი გვთავაზობს კოლექტორი დანაშაულისა და პასუხისმგებლობის კონცეფციას, რომელსაც გასდევს რეფრენად ფრაზა: „და ჩვენ არასდროს გამოვალთ გარეთ...!“

სამოქალაქო ომის დანაშაულს ეძღვნება რეზო გეთიაშვილის ლექსი „მკვდრების მანიფესტი“, ლექსის ეპიგრაფს „მოდით დავხოცოთ ერთმანეთი“, მნიშვნელოვანი იდეური დატვირთვა აქვს, რელიგიური სიმბოლოებისა და საქართველოს ეროვნული ჰიმნის ძალადობის დეგრადაციის სცენებთან შეხამებით ავტორი მკითხველს აფიქრებს პატრიოტიზმის სახელით განხორციელებულ ნგრევაზე.

XXI საუკუნიდან იწყება სერიოზული ძვრები, დამოუკიდებლობა იბრუნებს თანდათანობით თავის რეალურ არსს, წინაპართა სისხლისა და მოაზროვნეთა ადამიანთა წყალობით დღეს ვცხოვრობთ სამყაროში, სადაც უპირველეს ღირებულებად ადამიანის თავისუფლება, თანასწორობა, აზრისა და ღირსების პატივისცემა ქცეულა!

მოკლედ რომ შევაჯამოთ, დამოუკიდებლობის დაბრუნების შემდეგ თანდათანობით მოვიპოვეთ არჩევანის, აზრის თავისუფლად გამოთქმის შესაძლებლობა, კანონის წინაშე

თანასწორობა.... ეს ყველაფერი საბჭოთა პერიოდში არ არსებობდა, უფრო სწორად იყო ოღონდ მხოლოდ ფურცლებზე... არსებობდა, მაგრამ არ იგრძნობოდა.....

ჩვენი წინაპრების შრომა, ბრძოლა და დაღვრილი სისხლი უკვალოდ არ გამქრალა, დღეს სწორედ მათი წყალობით ვცხოვრობთ ისეთ ქვეყანაში, რომელსაც დამოუკიდებელი სახელმწიფო ჰქვია. სწორედ მათი წყალობით გწერ ახლა მეც, ჩემო ლილი! სწორედ მათი წყალობით მაქვს ახლა იმის შესაძლებლობა, რომ მქონდეს ურთიერთობა სხვა ქვეყნის მოქალაქესთან და ამით ძალიან ვამაყობ. როგორც შევძელი, დიდი ძალისხმევით, ვეცადე მომეყოლა ჩემი პატარა ქვეყნის, დიდი ისტორია.

ნახვამდის ლილი, მოუთმენლად ველოდები შენს პასუხს!

Name: Elene

Surname: Shurghulaia

Age: 16 years old

School: Public School N1 of Poti, named after Teophane Davitaya

Grade: 11th Grade

The Road of Georgia from Independence to Freedom

Hello, Lily.

Today, my letter will be different from the others because I want to share something that is very important to me as a Georgian. I've told you a lot about my country before — our culture, our traditions — but there's still something deeply significant that I want to tell you.

I have often thought about the path my ancestors took so that I could live in a free world. And now, I want to share that story with you

Georgia went through a very difficult journey to get to where it is today. Let's go back in time a hundred years and start the story from a joyful moment — the day Georgia was declared an independent republic. That was in 1918, the year we became independent and were no longer a province of Tsarist Russia.

To be more specific:

On May 26, 1918, Sunday, at 05:10 AM, in Tbilisi, the National Council of Georgia declared the country's independence and established the Democratic Republic of Georgia.

However, this happiness was short-lived. Just four days later, the Russian army invaded Georgia and began occupying the territory — an act of political annexation.

From 1922, our democratic republic was turned into a Soviet republic, a status that lasted until 1989.

What happened in 1989?

On April 9, tens of thousands of people gathered on Rustaveli Avenue in Tbilisi to demand independence. In the early hours of the morning, under orders from the Soviet Kremlin, the peaceful demonstration was brutally dispersed — first by military vehicles, then by special interior forces.

April 9 was etched into Georgia's history both as a day of tragedy and of the rebirth of independence.

Two years later, on March 31, Georgian President Zviad Gamsakhurdia held a referendum asking:

“Do you want the restoration of Georgia's statehood based on the independence declaration of May 26, 1918?”

Out of 3,672,403 eligible voters, 3,295,493 (including my own parents) voted in favor of restoring Georgia's independence.

On April 9, 1991, in honor of the victims of April 9, 1989, Georgia officially became an independent state once again.

People believed that independence would automatically bring freedom, justice, and prosperity. But the road was far from easy. After gaining independence, the country faced civil wars, territorial conflicts, economic crises, and political instability.

We gained independence — but was it true freedom in essence? Legal equality?

Not really, at least not right away.

Very soon after independence, in 1991–1993, Georgia experienced a civil war — an armed conflict between supporters of President Zviad Gamsakhurdia and the opposition. The war ended with the overthrow of the legitimate government and the death of Gamsakhurdia. The conflict caused major material damage to the country and the capital, Tbilisi.

The psychological trauma and damage caused by those events — both on individuals and on society — are echoed in Zviad Ratiani's poem "Negative, 20 Years Later", where the poet explores collective guilt and responsibility, using the haunting refrain:

"And we will never go outside again..."

Another powerful response to the civil war comes from Rezo Getiashvili's poem "The Manifesto of the Dead", whose epigraph, "Let's go kill each other," carries significant ideological weight. The poem mixes religious symbols and the degradation of the national anthem into scenes of violence, making readers reflect on destruction carried out in the name of patriotism.

From the 21st century onward, serious transformations began. Independence gradually started regaining its true meaning. Thanks to the blood of our ancestors and the efforts of great thinkers, we now live in a world where freedom, equality, dignity, and the respect for one's opinion are supreme values.

In short, since regaining independence, we have gradually obtained the right to choose, the freedom to express our thoughts, and equality before the law — things that didn't truly exist during the Soviet era. Or rather, they existed — but only on paper. In reality, they were never felt.

The efforts, struggles, and bloodshed of our ancestors were not in vain. Thanks to them, we now live in a country that is called an independent state. Thanks to them, I'm able to write to you now, dear Lily. Thanks to them, I have the opportunity to connect with someone from another country — and that makes me very proud.

With all my heart, I've tried to tell you the great history of my small country.

Goodbye for now, Lily — I'm eagerly waiting for your reply!